



აჭაბუგის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სადოქტორო პროგრამა

არქეოლოგია

ARCHAEOLOGY

ქუთაისი

2011

- საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება - არქეოლოგია
Archaeology
- უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: დოქტურანტურა
- მისანიჭებელი კვალიფიკაცია (აკადემიური ხარისხი) :
არქეოლოგიის დოქტორი - PhD in Archaeology
- პროგრამის ხელმძღვანელი:
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი ო. ლანჩავა - აწსუ არქეოლოგიისა და სიძველეთმცოდნეობის დეპარტამენტის კოორდინატორი; იმერეთის რეგიონის არქეოლოგიური კვლევებისა და კოლექციების უფროსი ზედამხედველი; ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი; ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის დირექტორი.
- პროგრამის მოცულობა კრედიტებით:
 - სადოქტორო პროგრამა - 180 კრედიტი.
 - კვლევითი კომპონენტი - (სადოქტორო დისერტაცია) – 120 კრედიტი.
 - სასწავლო კომპონენტი - 60 კრედიტი.
- სწავლების ენა: ქართული.
- საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:
 - ❖ მაღალკვალიფიციური და კვლევების თანამედროვე უნარ-ჩვევებით აღჭურვილი მკვლევარ-სპეციალისტის მომზადება საერთაშორისო სტანდარტებით, რომელსაც ექნება უმაღლესი განათლების III საფეხურისათვის განსაზღვრული კომპეტენციები, სათანადო ცოდნა და დამოუკიდებლად შეეძლება საქართველოში და კონკრეტულად იმერეთის რეგიონში არქეოლოგიურ ძეგლებზე სადაზვერვო და სტაციონალური კვლევების ჩატარება, ასევე კამერალური და სამეცნიერო მუშაობის წარმართვა და იმ ინტერდისციპლინარული ცოდნის შექმნა, რაც აუცილებელია სამეცნიერო ანალიზისა და მიღებული შედეგების ინტერპრეტაციისათვის. პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება არქეოლოგიის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა საქართველოში ადამიანის მოღვაწეობის შედეგად შექმნილი სხვადასხვა ეპოქის (ქვის ხანა, ბრინჯაოს ხანა, რკინის ხანა) არქეოლოგიური ძეგლებისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის უძველესი ცივილიზაციების კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, რათა შეძლოს მათ შორის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში ურთიერთკავშირების კვლევა.
 - ❖ სწავლების თანამედროვე მეთოდებს, შესაბამის უნარ-ჩვევებს და სათანადო კომპეტენციებს დაუფლებული კადრების მომზადება პედაგოგიური მოღვაწეობისათვის.

- ❖ კადრების მომზადება საქართველოს ეროვნული (მათ შორის ქუთაისისა და იმერეთის რეგიონის) და საერთაშორისო კულტურული მემკვიდრეობის რესურსების მართვისათვის (არქეოლოგიური ძეგლების პოპულარიზაცია და კოლექციების დაცვა).

დასაქმების სფეროები:

1. არქეოლოგიური ექსპედიციები და კვლევითი ცენტრები.
2. უმაღლესი და საშუალო განათლების დაწესებულებები.
3. მუზეუმები და კოლექციების დაცვის პროგრამები.
4. სიძველეთა ქრონოლოგიური, ეთნიკური წარმოშობის, ხელოვნებისა და კულტურული მნიშვნელობის ექსპერტიზა.
5. კულტურული ტურიზმის პროგრამები.

• სავარაუდო კვლევის თემატიკა:

1. დასავლეთ საქართველოს ქალაქები და საქალაქო ცხოვრება.
2. საქართველოს ნივთიერი კულტურა და მხატვრული ხელოსნობა.
3. მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა და ადრელითონების ხანის კულტურები.
4. კოლხური კულტურის წარმოშობა-განვითარების პრობლემა და მისი დიფუზია.
5. ანტიკური (ელინური, ელინისტური, რომაული) სამყარო და საქართველო.
6. ანტიკური და შუა საუკუნეების თავდაცვითი სისტემები საქართველოში.
7. ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ძეგლები.

• სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით.

პროგრამაში ჩართვის მსურველებმა უნდა დააკმაყოფილონ შემდეგი მოთხოვნები:

1. მაგისტრის ან მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი შესაბამის დარგში და მომიჯნავე მეცნიერებებში.
2. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.
3. უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ცოდნა (B2 დონე). დოქტორანტობის კანდიდატი, თუ მას ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და ქართული მისი მშობლიური ენა არ არის, წარმოადგენს ქართული ენის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს.
4. საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში.

სასურველია დოქტორანტობის მსურველმა წარმოადგინოს შემდეგი დამატებითი ინფორმაცია:

1. სამეცნიერო პუბლიკაციები.
2. სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა.
3. არქეოლოგიურ ექსპედიციებში მონაწილეობა.

სწავლების შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება -

არქეოლოგიის დოქტორს ექნება დარგისა და მომიჯნავე მეცნიერებების უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა:

- საქართველოს არქეოლოგიასა და იმ კულტურებსა და ცივილიზაციებში, რომლებმაც სხვადასხვა დროს უდიდესი გავლენა მოახდინეს ქართველის ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის ჩამოყალიბებაზე.
- ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების განვითარებაზე ანტიკური და შუასაუკუნეების საქართველოსა და ანტიკურ სამყაროში.
- ანტიკური და ადრემუასაუკუნეების ეპოქის საქართველოს თავდაცვით სისტემებზე, საფორტიფიკაციო ნაგებობებზე, შეიარაღებისა და სამხედრო ფორმირებების სახეობებზე, სტრატეგიასა და ტაქტიკაზე.

არქეოლოგიის დოქტორს შეეძლება:

- არქეოლოგიის დარგისათვის სპეციფიური თეორიული და პრაქტიკული კვლევის ინოვაციური მეთოდების გამოყენებით არსებული ცოდნის ხელახალი გააზრების და ნაწილობრივი გადაფასების გზით მიღწეული იქნეს ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება.
- მოპოვებული არქეოლოგიური მასალის ანალიზი, კვლევის მართვა და კვლევის პროცესში დასმული პრობლემების გადაჭრა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები -

არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება:

- ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება - არქეოლოგიური ძეგლის მოძიება, არქეოლოგიური გათხრების უფლების მოპოვება, ძეგლის სპეციფიკიდან გამომდინარე კვლევის მეთოდების განსაზღვრა, სამეცნიერო და ტექნიკური პერსონალის შერჩევა, სამუშაოების დაგეგმვა და წარმართვა, მოპოვებული არქეოლოგიური არტეფაქტების სამეცნიერო კვლევა.
- შეიმუშავოს და მეცნიერებაში დანერგოს არქეოლოგიისათვის დარგობრივი თვალსაზრისით სპეციფიკური ახლებური კვლევითი მეთოდები და ანალიტიკური მეთოდები, რომლებიც ორიენტირებულია ახალი ცოდნის მიღებაზე.
- სამეცნიერო კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიის საშუალებით არქეოლოგიაში არსებული ცოდნის გაფართოებითა და კვლევის ინოვაციური მეთოდების გამოყენებით რეფერირებადი საერთაშორისო პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე სამეცნიერო ნაშრომის შექმნა.
- არქეოლოგიის დარგისათვის სპეციფიკური და ზოგადად სამეცნიერო კვლევის მეთოდების გამოყენებით სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული არჩეული მიმართულების შესაბამისი საკვალიფიკაციო ნაშრომის მომზადება.
- სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით სხვადასხვა პროფილის სასწავლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის წარმართვა.
- კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების (არქეოლოგიური არტეფაქტების) ექსპერტიზა.

დასკვნის უნარი -

- არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს კრიტიკული მიდგომის გათვალისწინებით შეეძლება რთული, არასრული და წინააღმდეგობრივი არქეოლოგიური და წერილობითი წყაროების მონაცემების ანალიზი. ასევე შეეძლება ახალი მიდგომების სინთეზი, რითაც ხელს შეუწყობს არქეოლოგიის სფეროში კვლევის ახალი მეთოდოლოგიის შემუშავებასა და განვითარებას და მათი გამოყენებით პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღებას, კონცეფციათა განსაზღვრას და მიღებულ დებულებათა არგუმენტირებას.

კომუნიკაციის უნარი -

- არქეოლოგიის აკადემიური დოქტორი შეძლებს თავისი დარგის აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებაში კომპეტენტურ კომუნიკაციას, რაც გულისხმობს მისი კვლევის სფეროს ფარგლებში მის მიერ მოპოვებული ცოდნის დარგში არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად, გარკვევით და დამაჯერებლად წარმოჩენას.
- საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან პროფესიულ ურთიერთობას და ინფორმაციის გადაცემას სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის. ასევე თემატურ პოლემიკაში ჩართვას ქართულ და უცხოურ ენებზე.
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების თავისუფალ გამოყენებას დარგისათვის სპეციფიკურ კონტექსტში.

სწავლის უნარი -

- არქეოლოგიის დოქტორი შეძლებს თავად დაგეგმოს და შეასრულოს სასწავლო პროცესისათვის დარგობრივი კვლევა.
- შეძლებს ადეკვატურად შეაფასოს საკუთარი ცოდნა, ექნება მზაობა მუდმივი სწავლის და ცოდნის განვითარება-სრულყოფისათვის, რათა ახალი სამეცნიერო და მეთოდური მიღწევები გამოიყენოს სამეცნიერო კვლევის პროცესში.
- მუდმივად ეცდება სამეცნიერო და სწავლების მეთოდების გაუმჯობესებას და უახლეს მიღწევებზე დამყარებული ახალი იდეების გენერირებას.

ღირებულებები:

- ქართული და საკაცობრიო ღირებულებებისადმი პატივისცემა და სხვათათვის გადაცემა.
- პროფესიული ღირებულებების შემუშავებაში მონაწილეობა. კეთილსინდისიერი საქმიანობის პრინციპების პატივისცემა. აკადემიური პატიოსნება. ეთიკური და მორალური პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე. ეროვნული და სამოქალაქო თვითშეგნება.
- ზოგადსაკაცობრიო და პროფესიულ ღირებულებათა წარმოქმნის გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება.

კომპეტენციათა ცხრილი

სასწავლო კურსები	კომპეტენციები					
	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
დარგის კვლევის თანამედროვე მეთოდები	X	X	X	X	X	X
სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები	X	X		X	X	X
პედაგოგიური პრაქტიკა - (პროფესორის ასისტენტობა)	X	X	X	X	X	X
დოქტორანტის სემინარები	X	X	X	X	X	X
მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა და ადრელითონების ხანის კულტურები	X	X	X			X
ურბანისტული პროცესები ანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოში	X	X	X			X
ანტიკური ცივილიზაციები და ძველი საქართველო	X	X	X			X
კვლევითი კომპონენტი (დისერტაცია, კოლოქვიუმები, სამეცნიერო სტატიები, კონფერენციები)	X	X	X	X	X	X
სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგია	X	X	X	X	X	X
ქართველთა ეთნოგენეზი. ეთნიკური ისტორია და კულტურა	X	X				X
ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ძეგლები საქართველოში	X	X	X			X
ანტიკური და შუა საუკუნეების საქართველოს თავდაცვითი სისტემები	X	X	X			
ანტიკური სამყაროს ქალაქები	X	X				X
შუა საუკუნეების ქართული ქალაქები	X	X				X

- **სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:**
 - **სწავლების და სწავლის მეთოდები -**
 - ❖ ვერბალური (ზეპირი პრეზენტაცია).
 - ❖ ვიზუალური დემონსტრირება.
 - ❖ დისკუსია.
 - ❖ წერითი მუშაობა.
 - ❖ ინდუქცია
 - ❖ დედუქცია
 - ❖ ანალიზი
 - ❖ სინთეზი
 - ❖ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)
 - **დოქტორანტურის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები -**

- ❖ დარგობრივი კურსები გულისხმობს სადისერტაციო თემიდან გამომდინარე სპეციალური და მომიჯნავე საგნების გაღრმავებულ შესწავლას, ინტერდისციპლინარულ გამოკვლევას, რომელიც ორიენტირებული იქნება ფართო და მრავალპროფილიანი სამეცნიერო-პრაქტიკული მნიშვნელობის შედეგების მიღებაზე. ლექციებს წაიკითხავენ შესაბამისი მიმართულებების სპეციალისტები.
- ❖ სადოქტორო სემინარები - რომლის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ პროგრამის ხელმძღვანელი, სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი და დოქტორანტები. სემინარის მონაწილე დოქტორანტები წარმოადგენენ მოხსენებებს არქეოლოგიის სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე (რომლებიც არ წარმოადგენენ დისერტაციის შემადგენელ ნაწილს) და რომელიმე სამეცნიერო პრობლემის კვლევის თანამედროვე მდგომარეობაზე, რომელსაც მოჰყვება დისკუსია (სასემინარო საკითხების განხილვა) და დოქტორანტის მიერ განხორციელებული კვლევების შეფასება.
- ❖ დოქტორანტურის კვლევითი კომპონენტი მოიცავს სამეცნიერო სტატიების პუბლიკაციას და კონფერენციაში მონაწილეობას, რომელიც უნდა ასახავდეს თეორიული ანდა საველე არქეოლოგიური კვლევის დასაბუთებულ შედეგებს.
- ❖ დოქტორანტურის კვლევითი კომპონენტი მოიცავს კოლოქვიუმს, რომელიც წარმოადგენს დისერტაციის ნაწილს და დოქტორანტის კვლევის შედეგების პრეზენტაციას, რასაც მოჰყვება სამეცნიერო დისკუსია. დოქტორანტი პროგრამის (სადისერტაციო ნაშრომის) ხელმძღვანელს წარუდგენს კოლოქვიუმზე გამოსატანი ნაშრომის ბეჭდურ და ელექტრონულ ვერსიებს, რომლებიც სარეცენზიოდ წარედგინებათ შესაბამისი აკადემიური ხარისხისა და კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტს/სპეციალისტებს. კოლოქვიუმების შეფასებას ახორციელებს სამეცნიერო ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები. დოქტორანტი ვალდებულია წელიწადში ორჯერ გააკეთოს კოლოქვიუმზე პრეზენტაცია.
- ❖ ამგვარი მიდგომის შედეგი იქნება ღრმა ცოდნის შეძენა და ცოდნის სწრაფი აკუმულაციის უნარის გამომუშავება, რაც ხელს შეუწყობს მაღალპროფესიულ დონეზე მომზადებული და მაღალი საერთაშორისო რეიტინგის მქონე ახალგაზრდა კადრების აღზრდას.

დოქტორანტის ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები:

- ✓ დოქტორანტის აკადემიური მოსწრების შეფასება ცალკეულ დისციპლინებში შეიძლება ხორციელდებოდეს სხვადასხვა აქტივობების მიხედვით, როგორებიცაა: შუალედური გამოცდები, ფინალური გამოცდა, მიზნობრივი წერითი ნაშრომის შესრულება, ინდივიდუალური დავალება და სხვა. შეფასების კრიტერიუმები განსხვავდება ცალკეულ დისციპლინათა სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც ფიქსირდება შესაბამისი საგნების სილაბუსებში.

- ✓ პედაგოგიური პრაქტიკის შეფასება ხდება აკადემიური საბჭოს 2011 წლის 28 აპრილის №76 (10/11) დადგენილებით განსაზღვრული პედაგოგიური პრაქტიკის უწყისის ფორმის მიხედვით.
- ✓ სემინარების და კოლოქვიუმების შეფასების დროს დეგება შესაბამისი ოქმი, რომელშიც მიეთითება დოქტორანტის მიერ მიღწეული წარმატებები. შეფასების დროს ყურადღება მახვილდება წარმოდგენილი მოხსენების შესრულების დონეზე, ნაშრომის პრეზენტაციისა და დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხების ხარისხზე და ა. შ. კოლოქვიუმის ჩატარების დროს ხდება სადისერტაციო ნაშრომის შესრულების მიმდინარეობის პერიოდული შეფასება და მონიტორინგი. კოლოქვიუმზე წარსადგენი ნაშრომი არის დისერტაციის ნაწილი. დოქტორანტის მიერ კოლოქვიუმზე გამოსატანი ნაშრომის მიხედვით ხდება კოლოქვიუმის შესაბამისი კრედიტის ათვისება - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება № 785 2009 წლის 21 სექტემბერი და აწსუ-ში მიღებული შეფასების სისტემით (აკადემიური საბჭოს დადგენილება № 35 (11/11 2010 წლის 10 ნოემბერი).
- ✓ სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება ხდება აწსუ აკადემიური საბჭოს 2009 წლის 6 ნოემბრის №17 (09/10) დადგენილებით „სადოქტორო დისერტაციის შეფასების კრიტერიუმების“ შესახებ. სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 21 სექტემბრის № 785 ბრძანებით.
- ✓ სხვა სასწავლო და კვლევითი აქტივობ(ებ)ის (მაგ. სტატიის) მიხედვით კრედიტის ათვისება დასტურდება დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის წარდგინებით, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ერთობლივი დასკვნის საფუძველზე.
- ✓ სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი კომპონენტის კრედიტის აღიარება ხდება აწსუ აკადემიური საბჭოს სპეციალური დადგენილებით.

ცოდნის შეფასების სისტემა:

დოქტორანტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

- ა) შუალედურ შეფასებას;
- ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააზარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

სასწავლო გეგმა:

№	საგნის დასახელება	საგნის სტატუსი: სავალდებ ულო, არჩევითი	კრე დიტ. რაო დენ.	საკო ნტაქ ტო საათ ები	დამ. მუშა ობის საათ ები	კრედიტების განაწილება					
						სემესტრები					
						I	II	III	IV	V	VI
სასწავლო კომპონენტი - 60 კრედიტი											
1	დარგის კვლევის თანამედროვე მეთოდები	სავალდებ.	5	30	95	5					
2	სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები	სავალდებ.	5	30	95			5			
3	პედაგოგიური პრაქტიკა (პროფესორის ასისტენტობა)	სავალდებ.	5						5		
4	სემინარები	სავალდებ.	15				5	5	5		
5	მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა და ადრელითონების ხანის კულტურები საქართველოში	სავალდებ.	5	30	95	5					
6	ანტიკური ცივილიზაციები და ძველი საქართველო	სავალდებ.	5	30	95		5				
7	ურბანისტული პროცესები ანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოში	სავალდებ.	5	30	95			5			
არჩევითი კურსები - 1		არჩევითი	5	30	95	5					
1.1	სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგია										
1.2	ქართველთა ეთნოგენეზი. ეთნიკური ისტორია და კულტურა										
არჩევითი კურსები - 2		არჩევითი	5	30	95		5				
2.1	ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ძეგლები საქართველოში										
2.2	ანტიკური და შუა საუკუნეების საქართველოს თავდაცვითი სისტემები										
არჩევითი კურსები - 3		არჩევითი	5	30	95				5		
3.1	ანტიკური სამყაროს ქალაქები										
3.2	შუა საუკუნეების ქართული ქალაქები										
კვლევითი კომპონენტი - 120 კრედიტი											
1.	დოქტორანტის კოლოქვიუმი	სავალდებ.	30			5	5	5	5	5	5
2.	კვლევის შედეგების პუბლიკაცია და კონფერენციებში მონაწილეობა	სავალდებ.	30			5	5	5	5	5	5
3.	სადისერტაციო ნაშრომის შესრულება	სავალდებ.	60			5	5	5	5	20	20
	სულ					30	30	30	30	30	30

პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების აღწერა:

- სადოქტორო პროგრამა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს - 180 კრედიტი.
- კვლევითი კომპონენტი - 120 კრედიტი: კოლოქვიუმი - 30 კრედიტი; კვლევის შედეგების პუბლიკაცია და კონფერენციები - 30 კრედიტი. სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა - 60 კრედიტი.
- სასწავლო კომპონენტი - 60 კრედიტი.
- დარგობრივი კურსები (30 კრედიტი). სავალდებულო კურსები - 15 კრედიტი. არჩევითი კურსები - 15 კრედიტი.
- დარგის კვლევის მეთოდოლოგია - 5 კრედიტი.
- სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები - 5 კრედიტი.
- პედაგოგიური პრაქტიკა (პროფესორის ასისტენტობა) - 5 კრედიტი.
- სადოქტორო სემინარები - 15 კრედიტი.

• **დოქტორანტების რაოდენობა:** - არსებული აკადემიური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე შესაძლებელია 3 დოქტორანტის მიღება.

• **საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსები** (სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა):

1. აწსუ ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის არქეოლოგიისა და სიძველეთმცოდნეობის მიმართულება. აწსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკა, უნივერსიტეტის და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერული რესურს-ცენტრები. კეთილმოწყობილი კაბინეტ-აუდიტორიები (აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის აუდიტორია). მიმართულების კომპიუტერული რესურს-ცენტრი (ინტერნეტში ჩართული სამი კომპიუტერი, შავი და ფერადი პრინტერი, სკანერი, ტელევიზორი). არქეოლოგიური მასალების ელექტრონული ბიბლიოთეკა.
2. აწსუ-სა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიცია და მისი ბაზა.
3. ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი (სამეცნიერო ბიბლიოთეკა, ფონდები და ლაბორატორიები).
4. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრი (სამეცნიერო ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები და არქეოლოგიური ექსპედიციები).
5. პუბლიკაციების შესაძლებლობა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის, საქართველოს ეროვნული მუზეუმის და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს სამეცნიერო შრომათა კრებულებში, სპეციალიზებულ არქეოლოგიურ გამოცემებში, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.

სადოქტორო პროგრამის პარტნიორი დაწესებულებები:

1. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრი.
2. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსები: (აკადემიური პერსონალის და მოწვეული პირების CV-ები თან ერთვის).

1. **ომარ ლანჩავა** - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი; აწსუ ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის არქეოლოგიისა და სიძველეთმცოდნეობის მიმართულების ხელმძღვანელი და სრული პროფესორი; აწსუ არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი; ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის დირექტორი. ტელ.- 8 (431) 24-86-25. 8 (431) 24-57-82. მობ. 5 (99) 22-35-57. ელ ფოსტა - omarilanchava@gmail.com
2. **მერაბ ჭუმბურიძე** - ისტორიის დოქტორი; აწსუ ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის არქეოლოგიისა და სიძველეთმცოდნეობის მიმართულების ასოცირებული პროფესორი; აწსუ არქეოლოგიური ექსპედიციის წევრი. ტელ.- 8 (431) 24-86-25. 8 (431) 29-74-25. მობ. 5 (99) 98-26-79. ელ.ფოსტა - Merab-chumburidze@rambler.ru
3. **როლანდ ისაკაძე** - ისტორიის დოქტორი; აწსუ ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის არქეოლოგიისა და სიძველეთმცოდნეობის მიმართულების ასისტენტ პროფესორი; საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი; აწსუ არქეოლოგიური ექსპედიციის წევრი. ტელ.- 8 (431) 24-86-25. მობ. 5 (93) 23-21-75. ელ. ფოსტა - roland-isakadze@mail.ru
4. **დავით შავიანიძე** - ისტორიის დოქტორი; აწსუ ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის არქეოლოგიისა და სიძველეთმცოდნეობის მიმართულების ასოცირებული პროფესორი. მობ. 5 (99) 49-47-70. ელ. ფოსტა - okribelishvili@mail.ru
5. **იმერი ბასილაძე** - პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი; აწსუ პედაგოგიკის დეპარტამენტის სრული პროფესორი. 8 (431) 24-13-14. 8 (431) 24-05-16. მობ. 5 (99) 38-03-30. ელ. ფოსტა - i.basiladz@mail.ru
6. **ირაიდა კროტენკო** - ფოლოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; აწსუ სლავისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი და სრული პროფესორი. ტელ. 8(431) 24-09-05. მობ. 5 (77) 44-82-84. ელ. ფოსტა - iraidakrotenko@rambler.ru
7. **გელა გამყრელიძე** - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი; საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის საქართველოს კლასიკური და მედიევური პერიოდის არქეოლოგიის სექტორის ხელმძღვანელი. ტელ. 8 (32) 22-05-58. მობ. 5 (99) 16-78-08. ელ. ფოსტა - n_iabu@yahoo.com
8. **გურამ კვირკველია** - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი; საქართველოს ეროვნული მუზეუმის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი; ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრი. ტელ. 8 (32) 95-60-31. მობ. 5 (99) 11-46-93. ელ. ფოსტა - kvirk@access.sanet.ge
9. **დარეჯან კაჭარავა** - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი; საქართველოს ეროვნული მუზეუმის ისტორიის (არქეოლოგიის, ნუმიზმატიკის, ეთნოგრაფიის) მიმართულების უფროსი კონსერვატორი; ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი. ტელ. 8 (32) 22-71-62. მობ. 5 (99) 20-17-99. ელ. ფოსტა - kvirk@access.sanet.ge
10. **დავით მინდორაშვილი** - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი; საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის კლასიკური და შუასაუკუნეების სექტორის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი; ძველი თბილისისა და ბორჯომ-ახალციხის შუასაუკუნეთა ხანის არქეოლოგიური ექსპედიციების ხელმძღვანელი. 8 (32) 39-48-93. მობ. 5 (99) 98-55-92. ელ. ფოსტა - datomindorashvili@yahoo.com